გენგეგმა მ. 1:500



მითითებანი

1. დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები;
2. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა სამშენებლო მოედანზე;
3. დროებით ღობეზე და შესასვლელთან განთავსდეს შესაბამისი ბანერი სამშენებლო სამუშაოების წარმოების და უსაფრთხოების წესების შესახებ;
4. ს/ს სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე, რომლის დგომის პოზიცია შეირჩეს მშენებლობის პერიოდში. აღნიშნული შეიძლება შეიცვალოს უფრო თანამედროვეთი, საჭიროების მიხედვით.
5. საძირკვლის გრუნტი მიღებულ იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ;
6. გათვალისწინებულ იქნას კონსტრუქტორის მითითებანი;
7. მშენებლობაზე განხორციელდეს ხარისხის კონტროლი;
8. სამშენებლო მასალებით მომარაგება ქუჩის მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდში;
9. სამშენებლო ნაგავი გატანილ იქნას პერიოდულად სამშენებლო მოედნიდან;

ექსპლიკაცია

1. საოპერატორო და კომერციული ფართი
2. ფარდული
3. სარეზერვო პარკი
4. ავტოცისტერნის მოედანი
5. მეხამრიდი
6. გამწმენდი ნაგებობა

---

7. ღია საწყობი
8. დახურული ფარდული
9. მომუშავეთა დროებითი ოთახი
10. სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი ოთახი

განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარიანტში.
2. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, შ.პ.ს „PORTAL"-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, IV მ/რ-ნი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს. საკ. კოდი №01.11.17.005.088. ნაკვეთის ფართობი: 388 კვ.მ.
3. აღნიშნულ ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებულია ავტოგასამარტი სადგურის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე მოხდება კომერციული ფართის და საოპერატოროს შენობის, ფარდულის, ფასმაჩვენებელი სვეტის, მიწისქვეშა ავზებისთვის რკბეტონის სარკოფაგის მშენებლობა. ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა გამწმენდი ნაგებობა-სალექარი, ტერიტორიის უკანა პერიმეტრზე მოეწყობა ღობე.
4. საოპერატორო შენობა: ერთსართულიანი, საძირკვლები მონოლითური რკ.ბეტონის, კედლები - ბლოკით. სახურავი - ქანობიანი ხის ნივნივებზე, გადაიხურება თუნუქის ფურცლებით. ფარდული: ლითონის კონსტრუქცია, მოეწყობა მონოლითური რკ.ბეტონის ფილაზე. სარეზერვო პარკი: მიწისქვეშ მოეწყობა ბეტონის სარკოფაგი, სადაც განთავსდება საწვავის რეზერვუარები. პროექტით გათვალისწინებულია 2 ცალი 60 ტონიანი რეზერვუარის განთავსება. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ავტოცისტერნის მოედანი და სარეზერვო პარკთან მეხამრიდი, რომელსაც ექნება სარეზერვო პარკის სრული ფარგა, აგრეთვე დამოწებული იქნება ფარდულის გადახურვა და საოპერატორო შენობის სახურავი. ფასმაჩვენებლის კონსტრუქცია მოეწყობა რკ.ბეტონის ფილაზე. ფასის ბოლო პერიოდში მოეწყობა გამწმენდი ნაგებობა, და პროექტით გათვალისწინებული ღობე. მშენებლობის ბოლო ეტაპზე მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოეწყობა ასფალტის საფარი, მოხდება ტერიტორიის დასუფთავება.
5. საპროექტო ობიექტის მშენბლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება საამშენებლო ნორმების და წესების СНиП-1.04.03-85 მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების და დამკვეთის სურვილის გათვალისწინებით მშენებლობის ხანგრძლივობად მიღებულია 19 თვე.
6. ტერიტორია შემოღობოს დროებითი ღობით და განთავსდეს დროებითი ნაგებობების /განთავსების ადგილი დაზუსტდეს ტერიტორიაზე/. დროებით ღობეზე განთავსდეს შესაბამისი ბანერი სამშენებლო სამუშაოების და უსაფრთხოების წესების შესახებ. პირველ ეტაპზე მოხდება საოპერატოროს შენობის მშენებლობა. შემდეგ მოხდება მიწისქვეშა რეზერვუარებისთვის რკ.ბეტონის სარკოფაგის მშენებლობა. შემდეგ მოეწყობა ფარდულის და ფასმაჩვენებელი სვეტის კონსტრუქცია. შემდეგ მოეწყობა გამწმენდი ნაგებობა და ახალი ღობე. ს/სამონტაჟო სამუშაოებისათვის გამოყენებულ იქნას მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე, აღნიშნული მექანიზმი შეიძლება შეიცვალოს უფრო თანამედროვეთი, საჭიროების მიხედვით. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომი პერიოდი დაეთმობა სამუშაოების დასრულებას, კერძოდ: კარ-ფანჯრების, საინჟინრო ქსელების, მოპირკეთების და ფასადის სამუშაოებს. ბოლოს მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა. სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდება ქუჩის მხრიდან ეტაპობრივად, მშენებლობის პერიოდების გათვალისწინებით.
7. სამშნებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი ენერგიით და წყლით მოხდება არსებული ქსელებიდან. სამშენებლო ნაგავი გატანილ იქნას მოედნიდან.
8. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია საამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП-III-4-80* <<უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში>>.

პერიმეტრი აღნიშვნები

- დროებითი ღობე
- დროებითი ნაგებობები
- პროექტორი
- შესასვლელი

ამწის ტექნიკური მახასიათებლები

(KAMA3) KC-35714K

- საავტომობილო ამწე KC-35714K
- მაძს. ტვირთამწეობა – 16 ტ
- ისრის მაძს. შვერა – 18 მ
- კაკვის აწევის სიმაღლე – 18 მ

დირექტორი	ნ.ხუხაშვილი		Portal			
პროექტის ავტორი	ვლ.ცხვიტარია					
			მშენებლობის ორგანიზაცია	სტადია	ფურცელი	ფ-ბი
				მ. პ.	მო-1	2
დაამუშავა	თ.ზარძუა		განმარტებითი ბარათი, გენგეგმა	მაშტაბი	დაკვეთა	
				1:500		

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

№	ძირითადი სამუშაოების დასახელება	თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
		დღე	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25	25
1	ტერიტორიის მომზადება, დაკვალვა	50	2 / 50																		
	საოპერატოროს შენობა																				
2	ფუძის დამუშავება და საძირკვლის მოწყობა	25			1 / 25																
3	კედლების ამოშენება	50				2 / 50															
4	გადახურვის მოწყობა	25						1 / 25													
	ფარდული																				
5	ფუძის დამუშავება და საძირკვლის ფილის მოწყობა	25					1 / 25														
6	ლითონის სვეტების და ფარდულის ლითონის ფერმის მოწყობა	50						2 / 50													
	მიწისქვეშა რკ.ბეტონის სარკოფაგი																				
7	ფუძის დამუშავება და საძირკვლის ფილის მოწყობა	25								1 / 25											
8	კედლების მოწყობა	50									2 / 50										
	გამწმენდი ნაგებობა																				
9	ფუძის დამუშავება და საძირკვლის ფილის მოწყობა	25										1 / 25									
10	კედლების მოწყობა	25											1 / 25								
11	კარ-ფანჯრების მოწყობა	25										1 / 25									
12	საინჟინრო ქსელების მოწყობა	75											3 / 75								
13	მოპირკეთების სამუშაოები	75													3 / 75						
14	ფასადის სამუშაოები	75															3 / 75				
15	სამუშაოების დასრულება, ტერიტორიის კეთილმოწყობა	75																	3 / 75		

მითითება: სამშენებლო პერიოდის ათვლა დაიწყება მშენებლობის ნებართვის გაცემის დღიდან.

დირექტორი	ნ.ხუხაშვილი		Portal				
პროექტის ავტორი	ვლ.ცხვიტარია						
			მშენებლობის ორგანიზაცია	სტადია	შურცელი	შ-ბი	
დაამუშავა	თ.ზარძუა		მშენებლობის კალენდარული გრაფიკი	მ. პ.	მო-2	2	
				მასშტაბი	დაკვეთა		
				1:500			